



რეკომენდაციები ფსიქიკური ჯანმრთელობის სერვისებისთვის ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) გავრცელების დროს

ქრონიკული ფსიქიკური აშლილობის მქონე პაციენტები COVID-19-ით დაინფიცირებისა და ინფექციის გავრცელების მაღალი რისკის ჯგუფს წარმოადგენენ. მნიშვნელოვანია, რომ ინფექციის გავრცელების დროს პაციენტებზე ზრუნვის პროცესი არ შეფერხდეს და მაქსიმალურად დაცული იყოს უსაფრთხოების ზომები. მომსახურების უწყვეტობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის ფსიქიკური ჯანმრთელობის სერვისებს ეძლევათ შემდეგი რეკომენდაციები:

რეკომენდაციები სტაციონარგარეშე სერვისებისთვის

(სათემო ამბულატორიული, მობილური გუნდი, ფსიქოსოციალური რეაბილიტაცია, ბავშვთა ფსიქიკური ჯანმრთელობის ამბულატორიული, კრიზისული ინტერვენციის სამსახური, თემზე დაფუძნებული მობილური გუნდი)

1. მაქსიმალურად შეიზღუდოს პირდაპირი კონტაქტი პაციენტთან და გაფართოვდეს სატელეფონო/ონლაინ კონსულტაციები:

1.1. პაციენტებთან ურთიერთობა განხორციელდეს ექიმი-ფსიქიატრის და მკურნალობაში ჩართული სხვა სპეციალისტების სატელეფონო და/ან ონლაინ კონსულტაციების საშუალებით.

1.2. სპეციალისტების მიერ პაციენტისთვის გაწეული სატელეფონო/ონლაინ კონსულტაციები გაუთანაბრდეს პაციენტის ვიზიტს ექიმთან (ან სხვა სპეციალისტთან) და შესაბამისად აისახოს პაციენტის ამბულატორიულ ბარათში გაკეთებულ სამედიცინო ჩანაწერებში და ფინანსურ და სტატისტიკურ საანგარიშგებო ჩანაწერებში.

1.3. მკურნალობის უწყვეტობის უზრუნველყოფის მიზნით, საჭირო მედიკამენტების მარაგი პაციენტებზე გაიცეს შეძლებისდაგვარად გახანგრძლივებული ვადით პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისწინებით (არაუმეტეს ერთი თვისა).

1.4. სერვისებში, რომლებსაც აქვთ საკუთარი ავტორიზებული აფთიაქი, სატელეფონო და/ან ონლაინ კონსულტაციის საშუალებით დაიგეგმოს პაციენტის ვიზიტი აფთიაქში მედიკამენტების მისაღებად.

1.5. სერვისებში, რომლებსაც არა აქვთ საკუთარი ავტორიზებული აფთიაქი და მედიკამენტებით უზრუნველყოფა სხვა აფთიაქებიდან ხორციელდება, სატელეფონო და/ან ონლაინ კონსულტაციის საშუალებით დაიგეგმოს პაციენტის ვიზიტი დაწესებულებაში რეცეპტების მისაღებად.

1.6. დაწესებულებამ წინასწარ უნდა უზრუნველყოს მედიკამენტების ან რეცეპტების მისაღებად დაბარებული პაციენტებისათვის დანიშნული მედიკამენტების/რეცეპტების გამზადება/დაფასოება და უსაფრთხოების წესების დაცვით მათი გაცემა.

1.7. მობილურ გუნდებს და კრიზისული ინტერვენციის სამსახურებს მიეცეთ ნება დაწესებულების ოფისში იქონიონ ბინაზე პაციენტებისთვის გასატანი მედიკამენტების არანაკლებ ერთი თვის მარაგი, მათ შორის სპეცკონტროლს დაქვემდებარებული არანარკოტიკული სამკურნალო საშუალებები - ოფისში დაცვის შემდეგი პირობების შემთხვევაში - ოფისის შენობას ემსახურება დაცვის სამსახური/ან მედიკამენტები ინახება რკინის სეიფში/ან ოფისის პერიმეტრი უზრუნველყოფილია ვიდეოთვალოვანი სისტემით.

1.8. საჭიროების შემთხვევაში, თუ გამწვანებულია პაციენტთან სატელეფონო/ონლაინ კონსულტაცია, ან დისტანციურად ვერ ხერხდება საჭირო მომსახურების გაწევა, ექიმთან კონსულტაცია ფჯ სერვისებში უსაფრთხოების წესების მაქსიმალური დაცვით უნდა ჩატარდეს.

1.9. პაციენტის დაწესებულებაში ვიზიტის შემთხვევაში პერსონალი უნდა იყოს უზრუნველყოფილი სათანადო პირბადეებით და ხელთათმანებით. სასურველია აღნიშნული დამცავი საშუალება მიეწოდოს პაციენტსაც.

1.10. ბინაზე ვიზიტები განხორციელდეს განსაკუთრებული საჭიროების შემთხვევაში, თუ სატელეფონო კონსულტაციებით ვერ ხერხდება აუცილებელი შედეგის მიღწევა. ვიზიტამდე უნდა დადგინდეს პაციენტის ეპიდემიოლოგიური ანამნეზი და ვირუსით ინფიცირების ნიშნების არსებობა. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში ფსიქიატრიული სერვისი უნდა დაუკავშირდეს ადგილობრივ ეპიდემიოლოგიურ სამსახურს და იხელმძღვანელოს მისი მითითებებით.

1.11. პაციენტთან ბინაზე ვიზიტი ხორციელდება უსაფრთხოების ყველა წესის დაცვით. ბინაზე ვიზიტის განმახორციელებელი მედპერსონალი უზრუნველყოფილი უნდა იყოს შესაბამისი ეკიპირებით - ვიზიტორის ხალათით, პირბადით, ქუდით და ხელთათმანით. გადასაადგილებელი ტრანსპორტი ასევე უნდა შეესაბამებოდეს არსებულ მოთხოვნებს.

რეკომენდაციები სტაციონარებისთვის:

1. ფსიქიატრიულ სტაციონარებში ინფექციის მართვისთვის სათანადო ინფრასტრუქტურული პირობების არარსებობის გამო, ინფიცირებული ან საეჭვო ნიშნების მქონე ფსიქიკური აშლილობის მქონე პაციენტი უნდა მოთავსდეს ზოგადი პროფილის საავადმყოფოში, რომელშიც უზრუნველყოფილია ინფექციის პრევენციისა და კონტროლის ყველა ღონისძიება და აქვს სხვა პაციენტებისაგან იზოლირების უზრუნველყოფილი პირობები.

2. ფსიქიატრიულ სტაციონარებში მომუშავე პერსონალი უზრუნველყოფილი უნდა იყოს ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით და იცავდეს სამედიცინო დაწესებულებაში კორონავირუსის გავრცელების პრევენციისა და კონტროლისთვის განსაზღვრულ უსაფრთხოების ზომებს.

3. ზედმიწევნით დაცული უნდა იყოს დაწესებულების დასუფთავებისა და დეზინფექციის წესები.

დამატებითი ინფორმაცია:

www.moh.gov.ge

ცხელი ხაზი: 1505

www.ncdc.ge

ცხელი ხაზი: 116001

StopCoV.ge